INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

# 10 საუკეთესო მექანიზმი ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის ჩამოსაყალიბებლად

ავტორი: თამარ ნადიბაიძე

კვლევა განხორციელდა პროექტ **„საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში“** - ფარგლებში

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია **გაეროს განვითარების პროგრამა** და **ევროკავშირი**

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

EUROPEAN UNION

*კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს **გაეროს განვითარების პროგრამისა** და **ევროკავშირის** პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებელი კვლევის შინაარსზე.*

---

**აკრძალულია კვლევაში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წერილობითი ნებართვის გარეშე.**

მარტი, 2016

# სარჩევი

1. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ..... 2

2. დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმის ანგარიშები ..... 3

3. გზამკვლევი "Government Point of Contact Manual" ..... 4

4. სამუშაო ჯგუფები ..... 4

5. გამოცდილების გაზიარება ..... 4

6. ღია მმართველობის გზამკვლევი ..... 5

7. სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შემუშავება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად ..... 5

8. მრავალმხრივი პარტნიორობები ..... 6

9. ღია მმართველობის პარტნიორობის საძიებო სისტემა (OGP Explorer) ..... 6

10. OGP-ის ვებ-კონფერენციები ..... 7

10+1 თვითმმართველობები ..... 7

ღია მმართველობის პარტნიორობამ (Open Government Partnership - OGP) გამოაქვეყნა OGP-ის მხარდაჭერის დეპარტამენტის (OGP Support Unit) პროგრამების მენეჯერის ალონსო სერდან ვერასტეგის სტატია[1], სადაც გაწერილია მთავარი კრიტერიუმები ეფექტიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის. მესამე სამოქმედო გეგმების შემუშავების ტალღა მაისში იწყება და OGP-ის მიხედვით, ქვემოთ მოცემულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმა, მაქსიმალურად უზრუნველყოფს ღია მმართველობის პარტნიორობის ღირებულებების დაცვას და გააუმჯობესებს რიგითი მოქალაქეების ცხოვრებას ხელისუფლების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფითა და პოლიტიკურ აქტივობებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებით.

## 1. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა

აღნიშნული სტატიის ავტორის მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი, რითაც მთავრობამ შესაძლოა უზრუნველყოს ამბიციური ვალდებულებებისა და ძლიერი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება არის პროცესში ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა. სამოქალაქო საზოგადოებასა და სამთავრობო სექტორს შორის მუდმივი დიალოგის ფორმატის დანერგვა და თემატური სამუშაო შეხვედრების ორგანიზება კარგი მექანიზმია, იმისათვის, რომ საზოგადო პრობლემებს ინოვაციური გადაჭრის გზები მოეძებნოს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობამ წარმატებით უზრუნველყო სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ეროვნულ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი[2] არის სამთავრობო და სამოქალაქო სექტორს შორის მუდმივი დიალოგისა და თანამშრომლობის ფორმატი.

ასევე, ღია მმართველობის პარტნიორობაში ჩართულია საქართველოს პარლამენტი, რომელმაც საქართველოს ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართო ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებები და საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციები „საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის"[3] სახით. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლები ამჯერად საკონსულტაციო ჯგუფის[4] მეშვეობით აქტიურად არიან ჩართული საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. საქართველოს ღია

---

[1] Top Ten Tools to Develop a New National Action Plan, *ღია მმართველობის პარტნიორობა*, მოპოვებულია 28 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: http://www.opengovpartnership.org/blog/alonso-cerd%C3%A1n-ver%C3%A1stegui/2016/02/09/top-ten-tools-develop-new-national-action-plan

[2] ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი, *საქართველოს იუსტიციის სამინისტრო,* მოპოვებულია 28 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/348

[3] IDFI-ს ორგანიზებით ინტერფრაქციული ჯგუფის და ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა, *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)*, მოპოვებულია 28 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/inter-factional-group-meeting

[4] საკონსულტაციო ჯგუფმა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მხარდაჭერის გზებზე იმსჯელა, *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)*, მოპოვებულია 28 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/consultative-group-of-the-parliamentary-council-discussed-ways-of-supporting-the-council

პარლამენტის სამოქმედო გეგმა 18 ვალდებულებას მოიცავს, რომელთაგან 16 საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის მიერ არის წარმოდგენილი, ხოლო 2 საქართველოს პარლამენტის აპარატის. აღსანიშნავია, რომ 28-29 ოქტომბერს გამართულ ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალურ სამიტზე მექსიკაში, საქართველოს პარლამენტის ინტერ-ფრაქციული ჯგუფი დაჯილდოვდა[5], როგორც საუკეთესო სახელმწიფო გუნდი (OGP Government Champions Award), რომელმაც ყველაზე კარგად მოახერხა სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

## 2. დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმის ანგარიშები

OGP-ის სტატიაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის მიერ შემუშავებულ ყოველ სამოქმედო გეგმაზე ორი პროგრეს ანგარიში იწერება, რომელიც ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში ქვეყნის მიერ განხორციელებულ აქტივობებს აჯამებს. დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმის (Independent Reporting Mechanism, IRM) ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის ანალიზს, ვალდებულებების რელევანტურობისა და შესრულების შეფასებას, ,,ქვეყნის კონტექსტს" ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე. დოკუმენტი მოიცავს, როგორც დასკვნას, ისე 5 მთავარ რეკომენდაციას (SMART recommendations) და ძალიან კარგ რესურს წარმოადგენს ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

IRM -ის დამოუკიდებელმა ექსპერტმა საქართველოს მთავრობის OGP-ის სამოქმედო გეგმის[6] შესრულების 2014-2015 წლების ანგარიში გამოაქვეყნა[7] (სრული ანგარიშის გასაცნობად, ეწვიეთ ბმულს), რომელიც IRM-ის დამოუკიდებელმა მკვლევარმა ლაშა გოგიძემ მოამზადა. ანგარიშის მიხედვით, 29 ვალდებულებიდან 41% (12 ვალდებულება) სრულად შესრულებულია, 1 ვალდებულების შესრულება არ დაწყებულა, ხოლო დანარჩენი ვალდებულებები შესრულების სხვადასხვა ეტაპზეა. ანგარიშში შესულია საქართველოს 2 რჩეული (,,ვარსკვლავური") ვალდებულება (Starred Commitments): ,,პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციების დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება" და ,,ფარული მიყურადების მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება". ორივე ვალდებულება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით არის შესრულებული.

IRM-ის მკვლევარი ანგარიშის შედეგებს შემდეგნაირად აჯამებს: ,,საქართველომ OGP-ის ზოგიერთი მიზნის მიღწევაში (მათ შორის, ღია მონაცემების მეშვეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდასა და გადაწყვეტილების მიღებაში მოქალაქეთა ჩართულობის

---

[5] საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა ღია მმართველობის პარტნიორობის ჩემპიონთა ჯილდო მოიპოვა, *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)*, მოპოვებულია 28 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/georgia-wins-the-first-ogp-government-champions-award

[6] ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმა 2014-2015, *საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*, მოპოვებულია 29 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: http://justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2FOGP%2FOGP%20AP%202014-2015.pdf

[7] საქართველო: დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) - წინსვლის ანგარიში (2014-2015), ღია მმართველობის პარტნიორობა, მოპოვებულია 27 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/GEORGIA%20IRM%20REPORT_2014_15_GEORGIAN%20VERSION.pdf

მექანიზმების შექმნაში) მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე ვალდებულებების ორი მესამედი საჯარო სერვისების მიწოდებასა და შიდა სამთავრობო სისტემების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული, მთავრობის ვალდებულებების ღია მმართველობის ძირითად ღირებულებებზე (გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა) ორიენტირების კუთხით უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა. კერძოდ, გამოიკვეთა საჭიროება, შემუშავდეს ახალი ვალდებულებები მთავრობის უკანონო მიყურადების პრაქტიკის შეზღუდვის და ენერგეტიკის, ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროებში მთავრობის გადაწყვეტილებების მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად."

## 3. გზამკვლევი "Government Point of Contact Manual"

გზამკვლევი "Government Point of Contact Manual"[8] მოიცავს OGP-ის მხარდაჭერის დეპარტამენტის (OGP Support Unit) მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და გზამკვლევების კრებულს სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაზე, განხორციელებასა და შეფასებაზე. გზამკვლევი სამთავრობო სექტორზეა გათვლილი, თუმცა ავტორის თქმით, დოკუმენტი ძალიან გამოსადეგია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, რამდენადაც მათ ნათელი წარმოდგენა ექმნებათ, თუ რა მოეთხოვება მთავრობას ეფექტიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა თუ განხორციელებისათვის.

## 4. სამუშაო ჯგუფები

ღია მმართველობის პარტნიორობის 5 თემატური სამუშაო ჯგუფი[9] (ფისკალური ღიაობის სამუშაო ჯგუფი, საკანონმდებლო ღიაობის სამუშაო ჯგუფი, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის სამუშაო ჯგუფი, ღია მონაცემების სამუშაო ჯგუფი და ბუნებრივი რესურსების ღიაობის სამუშაო ჯგუფი) არსებობს. ჯგუფების მიზანია თანამშრომლობის, საუკეთესო მაგალითებისა და გამოცდილების გაზიარებით OGP-ის ამბიციური სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობა.

საქართველო არის საკანონმდებლო ღიაობის სამუშაო ჯგუფის, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის სამუშაო ჯგუფისა და ღია მონაცემების სამუშაო ჯგუფის წევრი.

## 5. გამოცდილების გაზიარება

[8] Government Point of Contact Manual, *Open Government Partnership,* OGP 2016, მოპოვებულია 29 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/ogp_2016_poc_manual.pdf
[9] OGP Working Groups, *Open Government Partnership,* ხელმისაწვდომია: http://bit.ly/1olm5Jp

რამდენადაც იდეათა გაცვლა-გამოცვლა[10] ღია მმართველობის პარტნიორობის ფუნდამენტური პრინციპია, OGP მუდამ აწყობს საერთაშორისო თუ რეგიონულ სამიტებსა და ვებ-კონფერენციებს. თუმცა, ასევე, ღია მმართველობის მხარდაჭერის დეპარტამენტი (OGP Support Unit) ნებისმიერ დროს მზად არის დახმარებისთვის. მათ 2016 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვთ თანხა ორმხრივი და რეგიონული შემსწავლელი ტურებისთვის, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მხარდაჭერის დეპარტამენტთან დაკავშირების შედეგად. სახელმწიფომ მხარდაჭერის დეპარტამენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა საკითხი აინტერესებს და რომელი ქვეყნიდან. ბმულზე[11] განთავსებულია სხვადასხვა ქვეყნების OGP წარმომადგენლების საკონტაქტო ინფორმაცია.

## 6. ღია მმართველობის გზამკვლევი

ღია მმართველობის გზამკვლევი "Open Gov Guide"[12] არის ვალდებულებების შემუშავების გზამკვლევი. მასში მოცემულია საილუსტრაციო მაგალითები სხვადასხვა საკითხებზე, მაგ. ბიუჯეტი, საჯარო სერვისები, გარემო და სხვა. თითოეული ვალდებულება შემუშავებულია მოცემულ საკითხში ექპერტი ორგანიზაციის მიერ და ისინი სამ კატეგორიად არის დაყოფილი: საწყისი, შუალედური, საბოლოო და ინოვაციური ნაბიჯები, რაც კონკრეტული ქვეყნის კონტექსტის გათვალისწინებას უწყობს ხელს. გზამკვლევი მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ეხმარება უფრო ეფექტიანი ვალდებულებების შემუშავებაში.

## 7. სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შემუშავება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად

გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება (ღია მმართველობის პარტნიორობის სპეციალური გამოშვება)[13] არის OGP-ის გზამკვლევი, თუ როგორ შეიძლება OGP-ის წევრმა ქვეყანამ ეროვნული ღია მმართველობის პარტნიორობის პლატფორმა (სამოქმედო გეგმები, სამუშაო ჯგუფები, ა.შ.) გამოიყენოს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშესაწყობად. ღია მმართველობის პარტნიორობის სპეციალურ გამოშვებაში თითოეულ 17 მიზანზე მოცემულია კონკრეტული მაგალითები სამოქმედო გეგმის ხელშესაწყობად. აღსანიშნავია, რომ პარტნიორობის 69 მონაწილე ქვეყნიდან 47 უკვე შეუერთდა ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს აღნიშნული ორი

---

[10] "Changing the Culture of Government –- Open Government Partnership," YouTube ვიდეო, გამოქვეყნებულია Open Government Partnership-ის მიერ, 24 სექტემბერი, 2014, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=ursu7GP85qs

[11] OGP POC contact info, Open Government Partnership, მოპოვებულია 28 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: https://docs.google.com/spreadsheets/d/1QBPlrdTk_36UmlcFZp5aZsDhX1EA-l02XAtgwJj7cWM/edit#gid=1272166913

[12] Open Government Guide, მოპოვებულია 27 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: http://www.opengovguide.com/

[13] The Open Government Guide Special Edition: Implementing The 2030 Sustainable Development Agenda, *Open Government Guide,* მოპოვებულია 25 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: http://opengovguide.theideabureau.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2015/10/The-Open-Government-Guide-Special-Edition.pdf

საერთაშორისო პლატფორმის გაერთიანებას. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობის დეკლარაციას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაზე, ასევე, პოლიტიკური მზაობა გამოთქვა საქართველოს პარლამენტმა.

## 8. მრავალმხრივი პარტნიორობები

ღია მმართველობის პარტნიორობა 7 მრავალმხრივ და ძალიან მნიშვნელოვან ორგანიზაციასთან თანამშრომლობს, ესენია: აზიის განვითარების ბანკი (ABD), ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების ეკონომიკური კომისია (ECLAC - CEPAL), ინტერ-ამერიკული განვითარების ბანკი (IDB), ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და მსოფლიო ბანკის ჯგუფი (WBG). აღნიშნული ორგანიზაციები მხარს უჭერენ ტექნიკური და ფინანსური რესურსებით ღია მმართველობის პარტნიორობასა და მის წევრ სახელმწიფოებს.

## 9. ღია მმართველობის პარტნიორობის საძიებო სისტემა (OGP Explorer)

ღია მმართველობის პარტნიორობამ შექმნა ვალდებულებების საძიებო ელექტრონული სისტემა,[14] რომელიც სამოქალაქო საზოგადოების, მთავრობის, აკადემიური წრის წარმომადგენლებისა და ჟურნალისტებისთვის ამარტივებს წვდომას ღია მმართველობის პარტნიორობის მიერ შეგროვებულ ვრცელ მონაცემებზე. მომხმარებელს ინტერესის მიხედვით შეუძლია მოძებნოს ვალდებულება, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებებს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, გარემოს დაცვით და სხვა საკითხებს. ამჟამად, საიტზე უკვე 100-ზე მეტი სამოქმედო გეგმის 2000-ზე მეტი ვალდებულებაა[15] განთავსებული. აღნიშნული ელექტრონული სერვისი მდიდარია მონაცემთა ვიზუალიზაციის საშუალებების თვალსაზრისითაც. მონაცემების ნახვა შესაძლებელია გრაფიკული გამოსახულებებისა და ცხრილების მეშვეობით, რაც აადვილებს ქვეყნის მიერ OGP ვალდებულებების შესრულების შეფასებას, ძველი და ახალი ვალდებულებების გარჩევას, ქვეყნების და შემდგომ მათი დაჯგუფების მეთოდის შერჩევას.

[14] OGP Explorer, *Open Government Partnership*, მოპოვებულია 27 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: http://www.opengovpartnership.org/explorer/landing

[15] "OGP Explorer," YouTube ვიდეო, გამოქვეყნებულია Open Government Partnership-ის მიერ, 28 მაისი, 2015, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=THXtWKjb1io

## 10. OGP-ის ვებ-კონფერენციები

ღია მმართველობის პარტნიორობა მუდმივად მართავს ვებ-კონფერენციებს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. 60-მდე გამართული ვებ-კონფერენცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.[16]

OGP-ის ინტერნეტ კონფერენციაში აქტიურად არის ჩართული ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და კონფერენციებზე ბლოგებსაც აქვეყნებს. აღსანიშნავია, რომ OGP-ის ვებ-კონფერენციაში მონაწილეობა მიღებული აქვს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების დირექტორს გიორგი კლდიაშვილს და საქართველოს პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსს ნინო ბერაძეს, რომლებმაც ისაუბრეს თემაზე „2015 წლის მიმოხილვა და მზადება 2016 წლისთვის: საკანონმდებლო ღიაობა და ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP)".[17] გიორგი კლდიაშვილმა ისაუბრა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და საქართველოს პარლამენტს შორის თანამშრომლობის სტრუქტურაზე საქართველოს ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.

## 10+1 თვითმმართველობები

ღია მმართველობის პარტნიორობა წელს საპილოტე პროგრამას[18] იწყებს ადგილობრივი თვითმმართველობების ინიციატივაში უფრო აქტიურად ჩასართავად. OGP წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში თვითმმართველობებთან აქტიური თანამშრომლობისკენ, რაც განაპირობებს უფრო ძლიერი და ქმედითი ვალდებულებების შემუშავებას.

საქართველოს მთავრობა, რომელსაც ღია მმართველობის პარტნიორობაში იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს, რიგით მეორე სამოქმედო გეგმის (2015-2016) შესრულებაზე მუშაობს. საქართველომ ახალი სამოქმედო გეგმა OGP-ის 2016 წლის 30 ივნისამდე უნდა წარუდგინოს. მნიშვნელოვანია, რომ სამოქმედო გეგმა სწორედ ზემოთ დასახელებული კრიტერიუმების საფუძველზე შემუშავდეს.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული კრიტერიუმები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ღია მმართველობის პარტნიორობაში ჩართული აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის, არამედ საქართველოს პარლამენტისთვისაც, რომელიც ღია მმართველობის პარტნიორობას 2015 წელს შეუერთდა. საქართველოს პარლამენტის OGP-ში ჩართულობას მხარს უჭერს გაეროს განვითარებისა და ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე პროექტი „საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა ღია პარლამენტის

---

[16] Resources, *Open Government Partnership,* მოპოვებულია 29 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/1VSNUpX

[17] IDFI-ს დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა OGP-ის ინტერნეტ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო, *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)*, მოპოვებულია 29 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/ogp-webinar-reviewing-2015-looking-to-2016-legislative-openness-and-ogp

[18] Subnational Government Pilot Program, *Open Government Partnership*, მოპოვებულია 29 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/1SlVdkv

სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში,“[19] რომელსაც ახორციელებს “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი” (IDFI).

[19] საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში, *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)*, მოპოვებულია 29 მარტი, 2016, ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/supporting-the-parliament-of-georgia-in-implementation-of-ogp-georgia-action-plan